პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 16 აპრილი 1926 წ.

წლიწადი მეექვსე ფასი 3 კ.

# წითელი მეომარი

82 (1077)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## გამოცდები მალე დასრულდება.

ჩვენი გაზეთის წარსულ ნომერში, ჩვენ ვლაპარაკობდით იმის შესახებ, რომ ამ თვის განმავლობაში მეთაურთა და პოლიტსკოლაში მიმდინარეობს გამოცდები.

ამ ჟამათ კი ეს გამოცდები მალე დასრულდება და ამ რიგათ მაშინ ჩვენ საშუალება მოგვეცემა დავინახოთ ის თუ, როგორი მომზადებული ამხანაგები მისცა ამ სამხედრო სკოლებმა საბჭოთა ხელისუფლებას.

დღეს დღეულათ კი ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ გამოცდების ხასიათი და მისი მუშაობა მეტად კარგად მიმდინარეობს.

განსაკუთრებული ყურადღება ამ გამოცდებში ექცევა უფროს, გამოსაშვებ კლასს და უნდა ვიფიქროთ, რომ გამოცდების ჩამტარებელი კომისია სათანადო ყურადღებით და ინტერესით ჩაატარებს გამოცდებს გამოსაშვებ კლასებში. ამ საქმისადმი ასეთი ყურადღების გამოჩენას მოითხოვს თვით საქმის ინტერესები.

როგორც ეს ცნობილი ფაქტია, ამ სამხედრო სკოლებში ისეთ ამხანაგებს ამზადებენ, რომლებმაც შემდეგში უნდა გაუწიონ, როგორც სამხედრო, კულტურული, ისე პოლიტიკური ხელმძღვანელობა ჩვენი წითელი ჯარის ნაწილებს.

ჩვენი წითელ-არმიელები, რომლებიც ამ რევოლიუციონურ ხანაში სხვა და სხვა პოლიტიკურ თუ კულტურულ, სამხედრო საკითხებისადმი ინტერესს გაღვიძებულნი არიან, რასაკვირველია თხოულობენ და კიდევაც ითხოვენ, მათთვის ამ საკითხების გარკვევას და ახსნა-განმარტებას.

ხოლო ასეთი საკითხების გარკვევა კი ვალად ედება წითელ მეთაურს, რომელიც ვალდებულია ყოველთვის დააკმაყოფილოს წითელი არმიელის გაღვიძებული ცნობისმოყვარეობა სხვა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებისადმი.

ამიტომ კი ცხადია, რომ ჯერ თვით ჩვენი წითელი მეთაური უნდა იყოს სათანადოთ მომზადებული და გარკვეული სხვა და სხვა საკითხებში.

ეს კი მოითხოვს იმას, რომ ჩვენმა სამხედრო სკოლებმა თავის რიგებიდან არ გამოუშვს მოუმზადებელი მეთაურები, რომლის საქციელი სახელს გაუტეხს სამხედრო სკოლებს. აქედან კი ყველასათვის გასაგები უნდა იყოს ის მოვლენა, რომ ჩვენი სამხედრო სკოლებში ამ ჟამათ წარმოებული გამოსაშვები გამოცდები, შედარებით სისასტიკით უნდა ხასიათდებოდეს.

რასაკვირველია ეს სისასტიკე უმთავრესათ იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ გამოცდების ჩამტარებელმა კომისიამ უნდა შესძლოს საცსებით და ყოველმხრივ გაეცნოს გამოსაშვები კლასის კურსანტების მიღებულ ცოდნას და ამისთვის მან არ უნდა დაიხიოს უკან არავითარი დაბრკოლებების წინაშე.

განსაკუთრებით კი ჩვენ გვსურს მოუწოდოთ გამოსაშვები კლასის კურსანტებს, რომ მათ შეიგნონ თავისი მოვალეობა და გამოცდებზედ წარსდგენ კარგად მომზადებული. მაგრამ მთლიანათ თუ როგორ ჩატარდა გამოცდები და რა შედეგებამდი მიაღწია ამ სამხედრო სკოლებმა, ახალი მომზადებული მეთაურების გამოშვების მხრივ, ამას ჩვენ დაგვანახებს გამოცდების დასრულების შედეგი.

## ერთა ლიგის სტუმართმოყვარეობა.

ერთა ლიგის მიწვევის საპასუხოთ—მონაწილეობა მიეღო საბჭოთა კავშირს განიარაღების კონფერენციაზე ჟენევაში, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა მიმართა ერთა ლიგის მთავარ მდივანს ნოტით.

ეს რამოდენიმეჯერაა, რომ საბჭოთა კავშირს ეპატიჟებიან განიარაღების კონფერენციაზე, ისიც ჟენევაში. როგორც წინეთ, ისე ეხლა ჩიჩერინმა მათ უარით უპასუხა. ვინც იცნობს ჩვენს დამოკიდებულებას შვეიცარიასთან ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო ის დაგვეთანხმება, რომ აქ მოულოდნელი და გასაკვირელი არაფერია.

რასაკვირველია ბურჟუაზიული გაზეთები და ამ კონფერენციის მომწვევნი შეეცდებიან ეს ჩვენი უარი განიარაღების კონფერენციაზე დაუსწრებლობის შესახებ ახსნან ისე, თითქოს ჩვენ არ გვსურდეს განიარაღების საკითხის გადაჭრა და მივისწრაფოდეთ არა მშვიდობიანობისაკენ, არამედ შეიარაღების გაძლიერებისაკენ. მაგრამ ამას მათ არავინ დაუჯერებს, ვინაიდან განიარაღების საკითხი ჩვენ პირველად წამოვაყენეთ გენუის კონფერენციაზე და მაშინ მათ არ მოისურვეს მასზე ლაპარაკი.

თანახმად ერთა ლიგის უკანასკნელი დადგენილებისა განიარაღების კონფერენცია მოწვეული იქნება ჟენევაში ამა წლის 17 მაისს- ეს დადგენილება და ის, რომ კონფერენციას ჟენევაში იწვევენ გვარწმუნებს იმაში, რომ მათი გულითი სურვილია არ მიაღებიონ მონაწილეობა საბჭოთა კავშირს ამ კონფერენციაში, ვინაიდან მათ იციან, რომ საბჭოთა წარმომადგენელი შეეცდება იქ ნიღაბი ჩამოხადოს მათ ნამდვილ მისწრაფებებს და ყველას დაანახოს მათი საიდუმლო შეთქმულება განიარაღების წინააღმდეგ. ეს კი მაინცდამაინც არ იქნება ხელსაყრელი იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის.

საბჭოთა კავშირი კი, ამხ. ჩიჩერინის განცხადების თანახმად, დიდის ინტერესით დაელოდება, როცა ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს სპეციალურათ შექმნილი კომისია, რომელიც ჟენევის ხრიკებისა და ჩვეულებების გარეშე იქნება, რომელიც შესძლებს საქმის უფრო უზრუნველყოფას, ვიდრე ერთა ლიგა.

მანამდის კი ერთა ლიგა ნუ შეიწუხებს თავს საბჭოთა კავშირის მთავრობის მიწვევით ისეთ კონფერენციაზე, რომელზედაც მის მონაწილეობას მართლაც სასურველად ვერ ცნობს ერთა ლიგის ხელმძღვანელები.

ერთა ლიგა განიარაღების საკითხის ხმაურით თითქოს ვილაცას ატყუებს, მაგრამ უწინარეს ყოვლისა ის თავის თავს ატყუებს.

თ. განგეს.

# ახალი რადიო ამბები

## ჩინეთის მინისტრთა თათბირი.

ჩინეთის მინისტრების თათბირმა დაადგინა გააგრძელონ მთავრობის მუშაობა, სანამ დანიშნულ იქნება ახალი მთავრობა.

დიპლომატიური კორპუსის ერთი ნაწილი მომხრეა იცნონ დუან-ცზი-ჩჟუის ჩამოვდება, მაგრამ დაინტერესებული სახელმწიფოების წარმომადგენლები ამის წინაალმდეგია, ვინაიდან იმედი აქვთ მდგომარეობის შეცვლის და დუან-ცზი-ჩჟუის დაბრუნების.

## სამხედრო მდგომარეობა სირიაში.

სირიის ცალკე ნაწილებში შემდეგი მდგომარეობაა:

ლივანის სამხრეთით ფრანგებმა ვერ შესძლეს იმ პოზიციებზე წინ წაწევა, რომლებიც გასული წლის დეკემბერში წაართვეს მათ სირიელებს.

ფრანგების 500-ანი რაზმის სრული განადგურება ერთ რაიონში ამტკიცებს იმას, თუ რამდენად სუსტია კავშირი ფრანგების ჯარებ შორის.

შუა სირიაში მდგომარეობა უცვლელია, ვინაიდან აქ არც ერთ მხარეს არ ჰყავს საკმაო ძალები შეტევის საწარმოებლად.

ამრიგად, აჯანყებიდან რვა თვის შემდეგ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ფრანგებმა, მიუხედავად დიდი მსხვერპლის გაღებისა, ვერ შესძლეს თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება იმ დროს, როცა აჯანყებულებმა პოლიტიკურ და აგრეთვე სამხედრო დარგში მიაღწიეს სერიოზულ წარმატებებს.

## რიფებმა შეაჩერეს საომარი მოქმედება.

მომავალ დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების გამო, აჯანყებულ რიფების ბელადმა აბდ-ელ-ქერიმმა გასცა განკარგულება საომარი მოქმედებათა შეჩერების შესახებ.

## სასტიკი ზომები გაფიცულთა წინააღმდეგ.

გრძელდება სასტიკი ზომები პასაიკის (ამერიკაში) გაფიცულ ფეიქართა წინააღმდეგ. ფაქტიურად შემოღებულია სამხედრო წესები.

მიტინგებს დევნიან. მიდის მასიური დაპატიმრება.

## საფრანგეთის გაზეთები ჩიჩერინის ნოტის შესახებ

### გალიზიანებული ტონით

საფრანგეთის პრესა არჩევს ჩიჩერინის ნოტას მეტად გალიზიანებულ ტონით.

საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლოს მდგომი გაზ. „ტანი“ სწერს, რომ სსრკ-ს კონფერენციაზე მონაწილეობაში უარის ნამდვილი მიზეზია მისი სურვილი დაარღვიოს დასავლეთ სახელმწიფოებ შორის დადებული შეთანხმება და გადაიბიროს თავის მხარეზე გერმანია.

მემარცხენე ბურჟუაზიის გაზ. „ევრა“ სწერს: „ვოროვსკის ისტორია და საბჭოთა დელეგატების უზრუნველყოფის საკითხი შვეიცარიის ტერიტორიაზე—ეს მხოლოდ უბრალო მიზეზია. ჩიჩერინის ნამდვილი მიზანია სახელი გაუტეხოს ერთა ლიგას, მიიბიროს გერმანია და შექმნას აღმოსავლეთში ძლიერი სამხედრო კავშირი ერთა ლიგის წინააღმდეგ“.

# საბჭოთა კავშირში

## დახმარება სამხედრო მსახურთ.

სსრკ-ს რევსამხსაბჭოს დადგენილებით შემოღებულია სამხედრო მსახურებზე დახმარების მიცემა ჯანმრთელობის აღსადგენად.

ბრძანების თანახმად დახმარების მიღების უფლება აქვს ყველა სამხედრო მსახურს, როგორც მერიგე, ისე მეთაურთა შემადგენლობის პირთ, რომლებიც ითვლებიან წითელი არმიის კადრში.

დახმარება ენიშნება სამკურნალოდ და ჯანმრთელობის აღსადგენად მძიმე ავადმყოფობის, დაჭრის, კონტუზიის, დაზიანების შემდეგ და აგრეთვე,—თუ რომ ავადმყოფობა წარმოადგარია სამსახურში მძიმე მუშაობით მოქანცულობის ნიადგზე.

სამხედრო მსახურთ დახმარება მიეცემათ აგრეთვე ქონების აუცილებელი ნაწილის აღსადგენად, რომელიც დაუკარგავს მას ან დაზიანებულა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით.

ამ დახმარების მიღების უფლებით სარგებლობენ ყველა მერიგე და მეთაურთა შემადგენლობის პირები იმ შემთხვევაშიც, თუ რომ ქონებრივი დაზარალება მოხდა მათი წითელი არმიის კადრში სამსახურის დროს.

## ინგლისის პროფკავშირების მოწვევა სსრკ-ში.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მოიწვიოს საბჭოთა პროფკავშირების ყრილობაზე, რომელიც მოხდება ამ წლის ბოლოს, ინგლისის ტრედიუნიონთა (პროფკავშირები) წარმომადგენლები.

## უცხოელ მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციის მოწვევა სსრკ-ში.

საკავშირო ლენინურ ახკომკავშირის ცეკამ მიმართა ყველა ქვეყნის მუშა ახალგაზრდობას—გამოგზავნონ თავიანთი დელეგაციები საბჭოთა კავშირში მშრომელ ახალგაზრდობის შრომისა და გამოცდილების გასაცნობად.

# საქართველოში.

## ხეხილები გლეხთა ბაღებისთვის.

აჭარისტანის მიწათმოქმედების კომისარიატმა მიიღო საქართველოს მიწ. მოქმედ. კომისარიატისაგან 6.000 ხეხილი ნერგი ბათუმის მაზრის გლეხთა ბაღებისთვის.

# სამხედრო სწავლება სამოქალაქო სკოლებში.

(იხ. გუშინდელი ნომერი).

თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის საკითხი მეტად მნიშვნელოვანი და მწვავე საკითხია ჩვენს პირობებში.

რომ ეს საკითხი წარმატებით გადიჭრას, საჭიროა მოქალაქეებმა, რომელთაც აქვთ საერთო განათლება არა ნაკლებ მე-2 საფეხურის სკოლისა, გაიარონ სამხედრო საქმის 200 საათიანი თეორიული კურსი და საზაფხულო პრაქტიკა (საბანაკო შეკრება), სამი თვე —სწავლების მთელი კურსის განმავლობაში. ეს უზრუნველყოფს საშუალო თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის მომზადებას.

გარდა ამისა, სასწავლებლების ხასიათთან დაკავშირებით, მომზადებულ იქნება სპეციალურ ჯარების თადარიგის მეთაურთა შემადგენლობა.

ეს ამოცანები სავალდებულოა განათლების კომისარიატის ყველა უმაღლეს სკოლებისთვის იმ პირთა მიმართ, რომლებიც სავარგისი არიან მწყობრში სახედრო სამსახურისა და ზურგის სამუშაოსთვის.

რაც შეეხება მეორე საფეხურის სკოლა დამთავრებულ და ორ უკანასკნელ ჯგუფში (8—9) სამხედრო სწავლა გავლილ პირებს, აქ სამხედრო უწყებას მიზნად აქვს გაუადვილოს არმიას მერიგე მეომრის მომზადება, მოამზადოს მომავალი კადრები ნორმალურ სამხედრო სკოლების შესავსებად და მისცეს მოსწავლეთ თეორიული ცოდნა, საჭირო წითელი არმიის უმცროს მეთაურისთვის, იმ ანგარიშით, რათა ომიანობის დროს, 3—4 თვიანი დამატებით მომზადებით, შესაძლებელი იყოს მიეცეს არმიას საშუალო მეთაურთა შემადგენლობა.

სამწუხაროდ, ამ მუშაობის დაწყება რამოდენიმედ დაგვიანდა და, წარსული წლის სექტემბრის მაგივრად ჩვენ დავიწყეთ მუშაობა მიმდინარე წლის თებერვალში, რაც ძალაუნებურად გვაიძულებს ჩვენ შევკვეცოთ ამ წლისთვის პროგრამა; მასთან ეს დაგვიანებით დაწყება მეტად ართულებს ზაფხულზე მოსწავლეთა ბანაკად გაყვანის საკითხს.

მოსამზადებელი მუშაობა ხელმძღვანელ და მასწავლებელთა შემადგენლობის შერჩევის საქმეში დამთავრებულია.

დადებითი და სერიოზული დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ხელმძღვანელ ორგანოებს, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქოთა მხრივ,—მოსამზადებელ ღონისძიებათა პროცესში უკვე დავინახეთ.

ეს ნებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ მომავალშიც იმ ყოველმხრივ დახმარებაზე, რომელიც აუცილებელი საჭიროა ამ დიდ და ახალ მუშაობაში, განსაკუთრებით პირველი ნაბიჯის დროს.

საჭიროა აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ მოცემულ მუშაობისთვის პირადი შემადგენლობა შერჩეულ იქნა უმაღლეს სამხედრო სასწავლებელ დამთავრებულ და სწავლების პრაქტიკულ გამოცდილების მქონე პირთაგან. რასაკვირველია, მუშაობა დიდი უმეტესობისთვის თავისებურობის გამო ახალი და მასთან საკმაო ძნელი იქნება, მაგრამ სერიოზული მუშაობით ესეც ძლეულ იქნება.

ნ. ა—კო.

# სამნეო დარგის მუშაობა ახალწვეულების მოსვლისა და უვადო შვებულებაში წ. ა. დათხოვნისას.

მომარაგების ორგანოების მუშაობას, ახალწვეულების მოსვლის და უვადო შვებულებაში წითელარმიელების დათხოვნის დროს, განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს. ჩვენს ლოზუნგს „პირი სოფლისაკენ" დიდი მნიშვნელობა ექნება მაშინ, თუ შევსძლებთ და ჩავაყენებთ საიანადო სამნეო პირობებში, როგორც ჯარის რიგებიდან მიმავალ არმიელებს, აგრეთვე ჯარის რიგებში მომავალ ახალწვეულებსაც.

რა უნდა გაკეთდეს, რომ უფრო სასურველად გადაწყდეს ეს საკითხი?

წარსულ წლებში მწვავედ იდგა უვადო შვებულებაში დათხოვნილ წითელარმიელების სანივთო საგნებით მომარაგების საკითხი. ამ ჟამად კი ეს საკითხი მოგვარებულია უფრო სასურველად: მერიგე წითელი არმიელს და უმცროს მეთაურს უვადო შვებულებაში წასვლის დროს ეძლევა შემდეგი ტანისამოსი: ქუდი, საზაფხულო ხალათ-შალვარი (თუ რომ უვადო შვებულებაში მიმავალს აქვს მიღებული მარტო ზამთრის ხალათ-შალვარი, ეძლევა ეს უკანასკნელი საზაფხულო ტანისამოსის მაგიერ), ფეხსაცმელები, ტოლადები (თუ კონტრებს ატარებს), ერთი პერანგი, ერთი ნიფხავი, ერთი წყვილი საზაფხულო ფეხსახვევი, ერთი პირსახოცი, წითელარმიელის ქუდის ნიშანი და მაზარა, (ეს ნივთები ეძლევა სულ ყველა ვადა გასულ რიცხვიდან, მხოლოთ სრულიად ვარგისები).

რაც შეეხება სურსათ-სანოვაგით მომარაგებას, ეძლევა მათ დღიური ულუფის ღირებულობა ფულად მთელი მგზავრობისათვის.

რასაკვირველია, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ უფრო მეტია საჭირო უვადო შვებულებაში წამსვლელთა და ახლად წვეულთათვის, ე. ი. მიცემული ნივთები არაა სავსებით საკმარისი, თანაც მათი თვისება შედარებით დაბალია, საულუფე ფულიც არაა საკმარისი, მაგრამ ყველა ეს დროებითია და იმით კი არ აიხსნება, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევს ამას, არამედ იმით, რომ ფინანსიური შესაძლებლობა და საერთოთ საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა ნებას არ გვაძლევს გადავჭრათ ეს საკითხი უფრო უკეთესათ, ვიდრე ახლა არის.

მაინც შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ არსებობს ერთგვარი ფუძე, უვადო შვებულებაში მიმავალ არმიელების და ახლათ წვეულების მომარაგების საკითხის ხელსაყრელ პირობებში გადასაწყვეტათ.

ნ. შ.

**ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი"**

# კავშირი მთებში.

## კავშირის ხელსაყრელი სახეები მთებში.

ცხადია, ბრძოლის წარმატება დამოკიდებულია კავშირზე ნაწილებ შორის. თუ რომ ნაწილს კავშირი ექნება უფროსთან და მეზობელ ნაწილებთან, იმ შემთხვევაში შეიძლება ყველა მეომრების მუშაობა მიმართულ იქნას ერთი მიზნისკენ, შეიძლება თავის დროზე დაეხმაროს მეზობელ ნაწილს, რომელიც გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა და სხვა. ერთი სიტყვით, საბრძოლო მუშაობა შეთანხმებულად იწარმოებს, თუ კი კავშირი იქნება.

კავშირის საშვალებაა: ტელეფონი, ტელეგრაფი, შიკრიკი, შთანგი და სხვა. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი რომელიმე საშუალებით არ შეიძლება მუდმივი, განუწყვეტელი კავშირის დაჭერა, ვინაიდან ხშირია შემთხვევა, რომ ერთი რომელიმე კავშირი დაბრკოლებას გადაეღობება და შესწყვეტს მუშაობას.

ამიტომ წესდება ხშირად ორმაგი და სამმაგი კავშირი (მაგ. ტელეფონი, მარბიელი, შთანგი).

კავშირის დაკავების საქმე ბრძოლაში, განსაკუთრებით, მთიან ადგილებში, რთულდება.

საბრძოლო მოქმედება მთებში სწარმოებს განსაზღვრულ მიმართულებით, ხშირად ცუდ გზებზე და ბილიკებზე. ხშირად ეს გზები სწყდებიან გაუვალი მთის კონცხებით, ან ღრმა ხეობებით.

მთებში კავშირის უფრო ხელსაყრელი საშუალებაა:

1. შუქის (მხედველობითი) კავშირი, რომელიც ყველაზე ნაკლებ დამოკიდებულია ცუდ გასავალ გზებზე; დღისით მხედველობითი კავშირის დაჭერა შეიძლება ფლაგების, ხოლო ღამით—გელიოგრაფების, (სარკით შუქის გადაცემა), ფანრების, შუშხუნების საშუალებით და სხვა.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ნისლი, წვიმა და თოვლიანი ამინდი ძლიერ აძნელებს მხედველობითი კავშირს ფლაგებით შეიძლება მოქმედება ერთ ნახევარ კილომეტრამდი, ხოლო ღამით ფანრებით—სამ კილომეტრამდი. გელიოგრაფები მოქმედებენ 15 და მეტ კილომეტრამდი ამინდის მიხედვით.

2. ბგერითი კავშირი წესდება დიდ მანძილებზე საყვირის, დოროტოტოს საშუალებით და სხვა.

3. კარგად გაწვრთნილ ძაღლს შეუძლია დასმენის მიტანა 7—8 ვერსზე. ძაღლს არ ეშინია, სროლის, ნაკლებ შესამჩნევია მტრისთვის და ჩქარა მოძრაობს.

4. ფოსტის მტრედები გამოიყენება კავშირისთვის მოწინავე ხაზსა და ზურგს შორის იმ შემთხვევაში, როცა სხვა საშუალებით კავშირის დაჭერა შეუძლებელია.

5. რადიო-კავშირი (უმავთულო ტელეგრაფი და ტელეფონი) მთებში მეტად მნიშვნელოვანი და ძვირფასი საშვალებაა კავშირისა.

რადიოს განვითარებით და ნაწილების აპარატებით მომარაგებით, კავშირის ეს სახე ფართე ხმარებაში შემოვა მთებში მოქმედების დროს.

პ.

# შრომის პირობები ინგლისში.

წლინახევრის წინად რამზეი მაკდონალდმა, ინგლისის მაშინდელმა პრემიერ მინისტრმა, დანიშნა კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა დიდი ბრიტანეთის მრეწველობის, ვაჭრობის და შრომის მდგომარეობა. მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვანი გავლენის შესუსტება, უმუშევრობის თანდათანი ზრდა და ყოველგვარი დაბრკოლება, რომელსაც განიცდიდა ინგლისის მრეწველობა და ვაჭრობა, მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ამ კომისიის მუშაობას. ამ კომისიის ხელმძღვანელათ დანიშნული იქნა ლორდ არტურ ბალფური, რაც თავისთავად ამტკიცებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა მთავრობა ამ გამოკვლევის შედეგებს.

ამ კომისიამ 1925 წ. გამოაქვეყნა თავისი პირველი შრომა, ეხლა ამ დღეებში გამოვიდა მეორე ტომი. ეს უკანასკნელი შრომა მთლიანათ ეხება შრომის პირობებს ინგლისის წარმოებაში. მას მეტად საყურადღებო და სამაგალითო შრომათ სთვლიან.

ინგლისის მცხოვრებლები უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში გაიზარდა 30 მილიონიდან 43 მილიონამდის. ომში დაღუპულთა დიდი რაოდენობის გამო, რომელიც უმთავრესად ახალგაზრდათა ხარჯზე ხდებოდა, კომისია აღნიშნავს განსაკუთრებულ ზრდას მრეწველობაში და ვაჭრობაში, მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვისას, 45 წლის ზევით. ეს რიცხვი მომავალში კიდევ გაიზარდა მოზრდილთა სასარგებლოთ, ვინაიდან მალე იჩენს თავს ის შედეგები, რომელიც დაგვიტოვა მსოფლიო ომმა და რაც გამოიხატება ახალ დაბადებულთა რიცხვის თანდათან დაკლებაში.

რაც შეეხება შრომის ხელფას, ის 1914 წლიდან გაიზარდა საშუალოდ, უფრო მეტად გაიზარდა კვალიფიციურ მუშათა ხელფასი. მაგრამ ეს ზრდა მოჩვენებითია, ვინაიდან ამასთან ერთად გაიზარდა და გაძვირდა ცხოვრების პირობები. მაშასადამე, ინგლისის მუშების კეთილდღეობის დონე არ აღემატება ომის წინა დროისას, კვალიფიციური მუშათა შრომის ხელფასი კი რამოდენიმეთ უფრო დაეცა.

ბალფურის კომისიამ უფრო მეტი ყურადღება მიაქცია უმუშევრობის საკითხს, რომელმაც ნივთიერათ ძალზე დააქვეითა ინგლისის მუშათა კლასი. დიდ სამრეწველო კრიზისებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ომის წინეთ, უმუშევართა რაოდენობა არასდროს არ გაზდილა 10 პროც. მეტს, მუშათა რიცხვის საერთო რაოდენობასთან შედარებით. ეხლა კი დაწყებული 1921 წ. იგი 12 პროც. აღწევს. ამასთან ერთად, არც ერთი სამრეწველო კრიზისი ისე დიდხანს არ გაგრძელებულა, როგორც ეხლანდელი.

რამდენს ჰკარგავს ინგლისის მუშათა კლასი ამ უმუშევრობის შედეგებით? კომისიის მიერ გამოანგარიშებულია, რომ 1924 წ. დაკარგულა 58 მილ. კვირა, 1921 წ. კი—93 მილ.

უფრო ძლიერია უმუშევრობა მრეწველობის იმ დარგში, რომელიც მუშაობდა უცხოეთის ბაზრის დასაკმაყოფილებლათ, მაგალითად, გემთასაამშენებლო, ლითონის და მანქანების წარმოება, მაშინ როდესაც შინაურ ბაზარზე მომუშავეთა უმუშევრობა მეტად მცირეა.

კომისიამ აგრეთვე ყურადღება მიაქცია იმ საშვალების გამოძებნას, რომელმაც უნდა შეანელოს ეს სამრეწველო კრიზისები. რასაკვირველია, მათი თანაგრძნობა იმ სამომრიგებლო კომისიის მხარეზეა, რომელმაც მიზნათ უნდა დაისახოს მწარმოებლების და მუშების მორიგება. კომისია წინააღმდეგია სავალდებულო გადაწყვეტილებათა ან იძულებითი საამხანაგო სასამართლოებისა, როგორც ეს არის ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და კანადაში; ამ ქვეყნების გამოცდილების მიხედვით, კომისია ასკვნის: როდესაც არის იძულება, მაშინ უფრო ნაკლები იმედია შეთანხმების.

კომისია აგრძელებს თავის მუშაობას და სულ მალე გამოვა მესამე ტომი ამ მუშაობის, სადაც ყოველმხრივათ იქნება გაშუქებული ინგლისის მრეწველობის განვითარების პირობები და ჯამი გაუკეთდება ყველა იმ შედეგებს, რომელიც გამოწვეულია ეხლანდელი სამრეწველო კრიზისით.

ვინც თვალყურს ადევნებს ინგლისის თანამედროვე მდგომარეობას, სოციალურ ძალთა ჭიდილს, გამწვავებულ კლასთა ბრძოლას და უმუშევრობის თანდათან ზრდას, იმისათვის აშკარაა, რომ მას დიდხანს ამ მდგომარეობის ატანა არ შეუძლია. გამოფხიზლებული მუშათა კლასი იტყვის თავის გადამწყვეტ სიტყვას „მუშათა პარტიის" ბელადების დამოუკიდებლათ, მაშინ საჭირო არ იქნება მაკდონალდის სამრეწველო კრიზისების რეცეპტები.

თ. გ.

# რკინის გზით ჯარების გადაყვანა.

ყველა სამხედრო მსახური ვალდებულია იცოდეს რკინის გზით ჯარების მიმოსვლის საქმე, ე. ი. ყოველგვარი ჯარების და მათი სხვა და სხვა სახის მარაგისა და საბარგულეების დატვირთვის წესი.

ყოველგვარი ჯარების გადაყვანა ხდება სამგზავრო და ს ბარგო მატარებლით. სამგზავროთი 30 კაცი და 30 ფ. ტვირთი და საბარგო მატარებლით—300 კაცი და 300 ფ. ტვირთი.

სამგზავრო მატარებლით ასეთების გაგზავნის წინ 3 საათით ადრე და საბარგო-სამგზავრო მატარებლით—12 საათით ადრე უნდა მიეცეს განცხადება სადგურის კომენდანტს, ხოლო სადაც უკანასკნელი არ არის, სადგურის უფროსს; აღნიშნულზე მეტი რიცხვის გადაზიდვის დროს, წინასწარ უნდა იქნას შეტანილი მოთხოვნილება (განცხადება) საჭირო ცნობებით სამხედრო მიმოსვლათა სამმართველოში: განცხადების (მოთხოვნილების) შეტანის უფლება აქვს არა ნაკლები ცალკე ნაწილის უფროსისა, შემდეგი წესით: 300—600 კაცამდე ერთი დღით ადრე; 600 კაციდან— 3 დღით ადრე. ნაწილის მთელი შემადგენლობის შტატის მიხედვით, საბარგულეებით, ტვირთებით—6 დღით ადრე, ხოლო ფრიად საჩქარო დროს ეს დრო იქნება შეკვეცილი მინიმუმამდი. ნაწილის უფროსი სამგზავრო საბუთების (მარშრუტის) და სქემის მატარებლის შემადგენლობის მიღების შემდეგ—ნიშნავს ეშელონის უფროსს და მის თანაშემწეებს, მეთაურს ეშელონის დატვირთვის თვალყურის სადევნებლად, ხალხს სამუშაოდ დასატვირთავათ. საჭირო განკარგულებას ახდენს ცხელი საჭმელის დამზადების შესახებ, რომელიც მოგზაურობის დროს შეძლებისდა გვარად ერთხელ მაინც უნდა იყოს დღეღამეში. ეშელონის უფროსი ნიშნავს ეშელონის მორიგეს და მის თანაშემწეებს, რონოდების მეუფროსეებს და მათ მოადგილეებს; დღე-ღამის ყარაულს, მორიგე მესაყვირეს და მარბიელს. ეშელონის უფროსი ადგენს საჭირო განკარგულებას, რათა იქნეს დათვალიერებული არტილერიის სამასალო ნაწილი და საბარგულეები, რომ ყველაფერი იყოს წესრიგზე და შემდეგ სქემის მიხედვით ანაწილებს ბაქნებში (პლატფორმებში); მთელ ტვირთს ჰყოფს ორ ნაწილათ, რომელიც უნდა იყოს დახურული რონოდებში და ბაქნებში, აგრეთვე უკანასკნელზე დაწყობილი საბარგულეების ბორბლებ ქვეშ.

ჯ. ქუთელია.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## კავკასიის წითელ დროშოვან არმიის

საკავშირო კომპარტიის ყველა პარტორგანოებს, კომისრებს, პარტბიუროებსა და უჯრედებს, ნაწილებისა და უმაღლეს სკოლების ს. ლ. ახკომკავშირის ორგანიზატორებსა და ჯგუფებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის პოლიტსამმართველო ...ნადადგენს იძლევა ჩატარებულ იქნას პარტორგანიზაციე... ხელმძღვანელ ორგანოები... და საკავშირო ლენ. ახკომკავშირის ორგანიზატორთა ხელახალი არჩევნები ბანაკად გასვლამდის, იმ ანგარიშით, რომ შემდეგ პერიოდებში ხელახალი არჩევნების მუშაობას მიეცეს უფრო გეგმიური და სისტემატიური ხასიათი.

მე-14 ყრილობის დადგენილებასთან დაკავშირებით (უჯრედების (ბიურო) პრეზიდიუმ... მუშაობის ვადების—6 თვემდე გაგრძელების შესახებ), მომავალში ხელახალი არჩევნების ...რო მოხვდება საზაფხულო და ზამთრო პერიოდის მუშაობის დასასრულს.

ეს ვადა უფრო ხელსაყრელია ჩვენი არმიის ყველა ნაწილებისა და უმაღლეს სკოლებისთვის (ტერნაწილების... ვის აპრილი—ძირითადი მუშაობის დასასრულია შეკრებათა შორის პერიოდში, ოქტომბერი—საერთო შეკრებათა უკანასკნელი დღეები). გაუწია რამ გარიში ზე... ნათქვამს, პოლიტსამმართველომ გადასწყვიტა რამოდენიმედ შეჰკვეცოს ...ტბიუროს მუშაობის ვადა ...ამად და ამით შეჰქმნას მომავლისთვის ხელახალი არჩევნების მტკიცე ვადები.

პარტორგანიზაციების ეს ხელახალი არჩევნები ჩატარებულ უნდა იქნას რაც შეიძლება უფრო საქმიანად და გაცხოველებით; აქ უნდა გაუკეთდეს ...ამ ზამთრის მუშაობას და ...ელ ყოველ დღიურ პრაქტიკულ მუშაობაში უნდა ვეხელმძღვანელოდეთ არმიის მეოთხე ...ა დივიზიების პარტკონფერენციების გადაწყვეტილებებს.

ყოველგვარ თავის ქებისა, მაგრამ თავის გამართლების გარეშე, მუშაობის ყველა დადებითი და უარყოფითი მოვლენების ბოლშევიკურად აწონ-...თ, უჯრედის ყველა წევრის აქტიური მონაწილეობით, უნდა ჩატარდეს ეს არჩევნები.

ამასთან ერთად, მე-14 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ხმის მიცემის დროს ჩატარებულ უნდა იქნას განხილვა პარტიის წევრისა და კანდიდატის მდგომარეობის შესახებ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) პრეზიდიუმების, უჯრედთა მდივნების, ბიურო-კოლექტივებისა და საკავშირო ლ. ახკომკავშირის ორგანიზატორთა ანგარიშების გარჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგი საკითხების გამორკვევას:

1. რამდენად ესმის მთელ პარტორგანიზაციას უკანასკნელი პარტყრილობების (საკავშირო ლენ. ახკომკავშირის წევრებს—ს. ლ. ახკომკავშირის მე-7 საკავშირო ყრილობის); არმიისა და დივიზიების პარტკონფერენციების გადაწყვეტილებები და რა სახეს ღებულობს ეს გადაწყვეტილებები ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

2. რამდენად ერკვევა ორგანიზაციის მთელი შემადგენლობა მიმდინარე ზოგად-პოლიტიკურ გარემოებაში.

3. შინაპარტიული შემჭიდროება და ჯგუფებსა და უჯრედებ შიგნით ურთიერთ დამოკიდებულება.

4. როგორაა დაკავშირებული ლენინურ ახკომკავშირის უჯრედი და ჯგუფი უპარტიო მასასთან, მისი უპარტიო მასაზე გავლენის ხარისხი და ავტორიტეტი, გამოჩენილია თუ არა უპარტიოთა შორის აქტივი და როგორ გამოიყენება ის მუშაობაში.

5. როგორ სახეს ღებულობს პარტიის კურსი ფართე საზოგადოებრიობაში (თვითმოქმედ ორგანიზაციების მუშაობა, ასეულის საერთო კრებების მოწვევის რეგულიარობა).

6. ლტოლვა პარტიისაკენ, მისი ხასიათი.

7. რაში გამოიხატებოდა პრაქტიკულად უჯრედის დახმარება ნაწილის აღმშენებლობის, განმტკიცებისა და განსაკუთრებით, დისციპლინის ამაღლების საქმეში.

ამავე კრებებზე გამომუშავებულ უნდა იქნას პრაქტიკული წინადადებები შემდეგი მუშაობისთვის.

ეს წერილი საჭიროა წინასწარ დამუშავებულ იქნას პარტბიუროსა და პრეზიდიუმების უჯრედების სხდომებზე და წაკითხულ იქნას კრებებზე, რომლებზედაც ჩატარებულ იქნება ხელახალი არჩევნები.

პოლიტსამმართველოს უფროსი რატნეკი.

# გამოცდები წარმატებით ჩატარდა.

სამხედრო პოლიტსკოლა.

სკოლაში 5 აპრილიდან დაიწყო უფროსი კურსის კურსანტების გამოცდები, რომელიც გაგრძელდა 14 აპრილამდე. ზამთრის პერიოდში გავლილი პროგრამა კურსანტებმა ხელმძღვანელობით გადიმეორეს და უნდა ითქვას, რომ საკმაოდ მომზადებული შეხვდნენ გამოცდებს. კომისიის ყველა შეკითხვებს ამხანაგები მხნეთ, თამამად და თავისუფლად იძლეოდნენ პასუხს. საერთოდ მათი ცოდნა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. საგამოცდო კომისია კმაყოფილი დარჩა.

დღეიდან კი უფროსი კურსის კურსანტები გადაგზავნილი იქნებიან ქართულ სხვა და სხვა ნაწილებში პრაქტიკაზე, სადაც ისინი დაჰყოფენ თვენახევარს, შემდეგ კი კვლავ სკოლაში დაბრუნდებიან და მონაწილეობას მიიღებენ მის საბანაკო მუშაობაში.

კურსანტი გაბედავა.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ვაწყობთ ბანაკს.

1-ლი დივიზ. ნაწილები.

პირველი დივიზიის ნაწილებმა უკვე გამოყვეს ცალკე ერთეულები და გაგზავნეს ბანაკის მოსაწყობათ. მუშაობა უკვე დაწყებულია. გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს უსწორმასწორო ადგილების მოსავაკებლად და გზების გასაყვანათ. ყველა ნაწილები ერთმანეთს ეცილებიან მუყაითობაში. თითეულ მათგანს სურს რაც შეიძლება სწორად აასრულოს თავისი ნაწილის დავალება. ამნაირად დაწყებითი მუშაობა ჯერ ჯერობით კარგად მიმდინარეობს.

მეთაურები გვაიმედებენ, რომ მუშაობას შედარებით ადრე გავათავებთ და გაცილებით უფრო კარგად შევსძლებთ ბანაკის მოწყობას ვინემ ეს იყო გასულ წელში.

სამხკორი შიო აზიკუროვი.

## როგორ ტარდება გასამხედროება.

მე-6 ლეგ. მე 3 ათასეული.

ათასეულმა კარგა ხანია ჩამოაყალიბა თელავის მაზრის სხვა და სხვა თემებში სამხედრო კუთხეები, რომლებსაც დიდი ინტერესით შეეგებო ყველგან მოსახლეობა. ამ ჟამად ჩვენ შევსძელით ყველგან, სადაც კი სამხედრო კუთხეებია, ჩამოგვეყალიბებია სამხედრო წრეები. ამაზე წინასწარი დადგენილება გამოიტანა ათასეულის პოლიტთათბირმა, რომელმაც გადასწყვიტა ათასეულიდან აქტიური მეთაურების გამოყოფა და მიამაგრა სამხედრო კუთხეებს.

11 აპრილს ყველა წერტებზე იქნა დაარსებული სამხედრო სამეცნიერო წრეები, რომლებშიდაც დიდი ხალისით ეწერებიან ადგილობრივი ახალგაზრდობა.

ყველა კუთხეებთან გამოყოფილი იქნენ წრის გამგეობები შემდეგი შემადგენლობით: ადმასკომის თავმჯდომარე, თემკომის მდივანი, სამკითხველოს გამგე, ტერრწმუნებული და ერთი ცვალებადელი, ასეთი შემადგენლობის გამგეობას ევალება კუთხისთვის იდეური ხელმძღვანელობის გაწევა.

მუშაობას წინ ეღობება ერთი მიზეზი: არა გვაქვს საშვალება, რომ ათასეულიდან გადავგზავნოთ ესა თუ ის მეთაური კუთხეში მეცადინეობის ჩასატარებლად და ცოცხალი კავშირის დასაჭერათ. საჭიროა ცენტრმა შესაფერი დახმარება აღმოგვიჩინოს ტრანსპორტის მიწოდების მხრივ, თორემ ეს დიდი საქმე ვერ მოგვცემს ასეთ პირობებში იმას, რასაც მოველით მისგან.

სამხკორი დ. ჭანკვეტაძე.

## დავაარსეთ საბუნების-მეტყველო წრე.

1-ლი საკავშირო ასეული.

ასეულში უკვე ორი თვეა რაც დაარსდა საბუნების-მეტყველო წრე. წრეში ამჟამად ირიცხება 22 წევრი. მეცადინეობა სწარმოებს თვეში ორჯერ და ეთმობა 4 საათი. დავიწყეთ სამყაროს წარმოშობიდან და ამ ხნის განმავლობაში უკვე მივაღწიეთ ევოლიუციონურ თეორიამდე.

წევრები დიდი ხალისით ეტანებიან მეცადინეობას. წინასწარ ცხადდება თემები, რომ თითეულ წევრმა შესძლოს შესაფერი მომზადებით შეხვდეს საუბარს. წრეს მიზნად აქვს დასახული ბანაკში გასვლამდე ინახულოს საბუნების-მეტყველო მუზეუმი.

მსურველები ბევრია წრეში ჩაწერის. წითელ არმიელთა ფართო მასაში მან კარგი სახელი დაიმსახურა.

ბანაკად ყოფნის დროს იმედი გვაქვს, რომ ბუნების წიაღში უფრო გავანაყოფიერებთ მეცადინეობას. სახელმძღვანელო წიგნები ჯერჯერობით მოგვეპოვება. ამას გარდა თითეული წევრი ცდილობს საკუთრივ შეიძინოს რაც შეიძლება მეტი ლიტერატურა ბუნების მეტყველებიდან.

სამხკორი დ. ვაჩეიშვილი.

## მისაბაძი წ. არმიელი.

მესამე ლეგ. ბატარეია.

ბატარეას ახალწვეულების მოსვლის დროს, ეწვია ერთი წითელ არმიელი გაგუშვილი პეტრე, რომელმაც სრულიად არ იცოდა წერა-კითხვა. ის დიდი სიხალისით მოეკიდა სწავლას და სულ მოკლე ხნის განმავლობაში შესძლო წერა-კითხვის შესწავლა. რამოდენიმე ხნის შემდეგ, ის როგორც სამაგალითო წითელ არმიელი და ზედმიწევნით მუყაითი, გადაყვანილი იქნა საარტილერიო სკოლაში კურსანტათ. მან აქაც წარმატებით დაამთავრა კურსი და შესაფერი ცოდნით დაუბრუნდა ჩვენს ნაწილს.

ამ ჟამად ის ერთგულ უმცროს მეთაურად ითვლება ნაწილში და განირჩევა თავისი მუყაითობით. წითელ არმიელებთანაც იშვიათ განწყობილებაშია.

ასე ზრდის და ამზადებს წითელი ყაზარმა სოფლიდან მოსულ უსწავლელ ახალგაზრდობას.

სამხკორი მხედარი.

## არ ვივიწყებთ ჩვენს რაიონს.

მე-6 ლეგ. მე-5 ასეული.

ჩვენი ასეული არ სწყვეტს კავშირს იმ რაიონთან, სადაც მას უხდებოდა ცვალებადთა შეკრების დროს მუშაობა. ხშირად მივდივართ ადგილობრივ გლეხობასთან და საუბრებისა და ლექციების გარდა უმართავთ წარმოდგენებს უფასოთ, რასაც დიდი აღფრთოვანებით ეგებება ხალხი.

ამას წინად ათასეულის ძალების დახმარებით გაუმართეთ აღნიშნულ რაიონის (ქვემო მაჩხაანის) გლეხობას წარმოდგენა, რომელსაც აუარება ხალხი დაესწრო.

წარმოდგენის დაწყებამდე სიტყვით გამოვიდა ასეულის მეთაური ამხ. ყურაშვილი. მან აღნიშნა ჩვენი მიზანი გლეხებთან დამოკიდებულებაში, შეეხო წითელ ჯარს, მის მუშაობას და მნიშვნელობას, გაარკვია თუ რას ემსახურება ჯარის ტერიტორიალური სისტემა და რა სარგებლობა მოაქვს მას ქვეყნის ეკონომიური და სამეურნეო აღმშენებლობისათვის და მრავალი სხვა. ხალხი კმაყოფილებით შეხვდა ამხანაგის სიტყვას. დასასრულ დაიდგა წარმოდგენა, რომლის დათავების შემდეგ გლეხობამ კლუბის გამგეობასთან ერთად დიდი მადლობა გადაგვიხადა და გვთხოვეს ხშირად მოვინახულოთ ისინი.

სამხკორი მეფარიშვილი.

## შევსძლებთ დავალებების შესრულებას.

უკვე წელიწად ნახევარია რაც ჩვენ 1902 წელში დაბადებულები—მუშების და გლეხების შვილები ვმსახურობთ წ. ჯარში და ვასრულებთ ყველა იმ ბრძანებებს, რასაც გვავალებს ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება. ვიწვრთნებით როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური ცოდნით. წითელი ყაზარმა უხვად გვაძლევს გამოცდილებას და გვაწვდის ცოდნას, რომ სოფელში დაბრუნების შემდეგ ჩავებათ ყოველგვარ მუშაობაში უპარტიო მასაში და გავაცნოთ გლეხებს თუ რა არის ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება, და როგორ ცდილობს ის მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყოველივე ამას ჩვენ შევსძლებთ. ამისთვის გვაქვს საკმარისი გამოცდილება და ცოდნა.

სამხკორი ბ. კვაჭაძე.

## ჩვენც ვაარსებთ ლენკუთხეს.

მე-4 ლეგ. 1-ლი ასეული.

9 აპრილს შესდგა ასეულის მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება ლენინის კუთხის მნიშვნელობის და მისი დაარსების აუცილებლობის შესახებ ნაწილში.

არჩეულ იქნა კუთხის მომწყობი კომისია, რომელშიდაც შევიდნენ ერთი პოლიტხელი 2 მეთაური და 2 წითელ არმიელი. კომისია უკვე შეუდგა დავალებული საქმის სისრულეში მოყვანას და იყენებენ ამისთვის ყოველგვარ საშვალებებს. მუშაობენ აგრეთვე სამხედრო კუთხის მოწყობისთვისაც.

ჩვენი პოლიტხელი ყოველ საღამოობით უყრის თავს წითელ არმიელებს, ყოფს მათ ორ ჯგუფად და აწარმოებს საუბრებს სამხედრო კუთხის და სხვა მნიშვნელობის შესახებ.

წ. არმ. საცერიძე.

## მეთაურები არ სჩანან.

1-ლი საკავშირო ასეული.

ჩვენს ასეულში მრავალი სხვა და სხვა ხასიათის წრეებია ჩამოყალიბებული, რომელთა მეცადინეობა სისტემატიურად და დიდის წარმატებითაც მიმდინარეობს. წითელ არმიელები მრავლად ესწრებიან წრეების მუშაობას, მაგრამ სამწუხაროდ არსად სჩანან მეთაურები. ისინი წრეებიის მეცადინეობის დროს არ იმყოფებიან წითელ არმიელებთან ერთად. სხვა ნაწილებში ასე არ ხდება. წრეებში წითელ არმიელების გვერდით მეთაურებიც სხედან და პირველებს უადვილებენ მუშაობას.

საჭიროა ჩვენი ნაწილის მეთაურები ყურად იღებდენ ამას და მიიღებდენ მონაწილეობას წრეების მუშაობაში.

სამხკორი დედისე.

### ასეთი წითელ არმიელები ჩირქს გვცხებენ.

12 აპრილს შემთხვევით გავიარე ხაზინის ქუჩაზე, რომელზედაც ერთ-ერთ ქართ. ლეგიონის სამნეო ნაწილის წითელ არმიელებს მიჰქონდათ ოთხთვალებით ქერი. ეს ვაჟბატონები ყველას განურჩევლად ვინც კი შამოეყრებოდათ წინ აყრიდენ მტვერიან ქერს და თან გიჟურათ ხარხარებდენ თავის საქციელზე. ამასთანავე ერთად ნაწყენ მგზავრებს დაუშვებელი სიტყვებითაც მიმართავდენ. ცხადია ასეთი წითელ არმიელები ვერ ასახელებენ ჩვენს არმიას, რომლებსაც სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

სამხკორი მეთვალყურე.

# ფელეტონები

(სამხკორთა წერილებიდან)

## მძივი, კრიალოსანი და საბანი.

ხომ გახსოვთ, ძველს დროს, ტუსაღებმა იცოდნენ ციხეებში გაკეთება პურიდან ირმების, კრიალოსნების და სხვა ამგვარი ნივთების.

... უეჭველია გეხსომებათ! ზოგი ჰყიდდა ამ ნივთებს, ზოგიც უგზავნიდა ნაცნობ-მეგობრებს—სახსოვრად.

ხალისიანი გართობა იყო, ტუსაღი თავს იქცევდა, ამოკლებდა დროს. აი, ჩვენშიც შემოიღეს ეს თავგასართობი ხელობა.

სამხედრო ჰოსპიტალში მოთავსებული ავათმყოფნი გაცხარებით, ინტენსიურად აკეთებენ მძივებს, კრიალოსნებს. ვინ იცის, ვისთვის უნდათ საჩუქრად: გულის ვარდისთვის, სულის სატრფოსთვის.

პური ბევრია, მოიმზიღებს, კრიალოსანს კი გააკეთებს. მაგრამ, ძაფი, უნდა რომ მძივი ძაფზე აასხან. ესეც იშოვეს. სახაზინო საბნებში ბლომად მოიპოება ძაფი. მისდგომიან და არღვევენ საბნებს. ნელა-ნელა აძრობენ ძაფებს. ერთ მძივის მკეთებელს მთლად შემოერღვა საბანი, არღვია, იმდენი არღვია, რომ საბნის რაოდენობა არარაობამდის (ნულამდის) მიიყვანა. ამბობენ, თუ ასე ინტენსიურად გაგრძელდა მძივკრიალოსნების კეთება, საბნები კი არა, მალე ჰოსპიტალში ნიფხვის შოვნაც გაჭირდებაო.

### წ ი ნ?

კარგი სიტყვაა „წინ!"
„მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული"
კარგაა ნათქვამი, ვის გაუკია უკან დახევა, წინ! წინ!

მაგრამ, ზოგი წინ მიდის, ზოგი უკან ბრუნდება, ზოგიც კი იყინება ერთ წერტილზე.

აქ მე მხედველობაში მყავს ერთი . . . კედლის გაზეთი. ეს გაზეთი ეკუთვნის 1-ლ დივიზიის შტაბს და პოლიტგანყოფილებას. სახელად დაბადებისა—ჟამს დაარქვეს მას „წინ!" ესე გაზეთი დაიბადა თუ არა (იგი იშვა ამ 4 თვის წინ ით) ჩამოიკიდა კედელზე და ჰკიდია საცოდავათ. უნდა წინ წასვლა, უნდა გაამართლოს თვისი სახელოვანი სახელი, მაგრამ ვერ მიდის საბრალო, იყინება ერთ წერტილზე, იყინება თავის რედკოლეგიასთან ერთად.

მესვეურნო, პატრონნო, გულშემატკივარნო კედლის გაზეთის! გასწიეთ წინ, ნუ თუ შედრკა თქვენი გული?

### აჰა შუქის ამბავი.

აი, მე-3 ლეგიონი.

დაღამდება თუ არა და ქუთაისის მიდამოებს მოიცავს ქუთათური სიბნელე და ცაზე გაბრწყინდებიან კაშკაშა მნათობნი: ვარსკვლავნი და მთვარე, მე-3 ლეგიონში აინთება მრავალი ელექტრო ნათურა.

გაკაშკაშდება ყაზარმა.

გაკაშკაშდებიან ლენკუთხეებიც.

სასიამოვნო სანახავია მაშინ, ე. ი. საღამო ჟამს ლენკუთხეები მე-3 ლეგიონის. თქვენთ ნახავთ, რომ წითელ-არმიელნი კიბეებით, სკამებით და სხვა მანქანებით ესწრაფიან ელექტრო „ლამპასთან", რათა მის მკრთალ შუქზე გაარჩიონ ასოები წიგნში ან გაზეთში.

განათებულია მე-3 ლეგიონი, განათებულია ფრიად ლენინის კუთხე.

ამბობენ, ზოგიერთი წითელ-არმიელნი თურმე თხუნელებისავით ბნელაშიც კარგათ კითხულობენ წიგნ-გაზეთებს.

ე. ხ.

## მოწერილი წერილებიდან.

11 აპრილს პირველი ლეგიონის შემადგენლობა გავემგზავრეთ ზოოლოგიური და სანიტარული მუზეუმების დასათვალიერებლად. ხელმძღვანელობას გვიწევდა ამხ. ფერაძე და მასწავლებელი გაბუნია, რომელმაც დაწვრილებით აგვიხსნა ყველა ჯიშის ცხოველებისა და ფრინველების ცხოვრება. მუზეუმმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე. ამიერკავკასიაში მცხოვრები ყველა ჯიშის ცხოველები ამ ჟამად ცნობილი არის ჩვენთვის. ამის შემდეგ გავემგზავრეთ სანიტარულ მუზეუმში, რომელმაც არა ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა პირველზე. აქ აგვიხსნეს თუ როგორი მავნებლობა მოაქვს უსუფთაობას, ლოთობას და სხვა. გვაჩვენეს ამ მიზეზებით გამოწვეული ადამიანის სხვა და სხვა ორგანოების დაავადმყოფება და სხვა.

განსაკუთრებით ყურადღებით იქნა დათვალიერებული ვენერიული სენისაგან გამოწვეული დამახინჯებული ადამიანების სურათები. კარგია ხშირად მოგვიწყობდენ ასეთ ექსკურსიებს.

წ. არმ. დია—ვანი.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

### არა გვაქვს საკმაო ჭურჭელი.

ცხენოსანი ლეგიონის სამნეო გუნდში წითელ არმიელებისთვის არ მოიპოება საკმაო ჭურჭელი. სადილობის დროს ჩხუბი და აურზაურია ამის გამო წითელ არმიელებში. რიგში დგომა უხდებათ სადილისათვის. დროა ბოლო მოეღებოდეს გუნდში ასეთ მდგომარეობას. ნაწილი უნდა დაკმაყოფილდეს საჭირო რაოდენობის ჭურჭლეულობით. სამნეო ნაწილის უფროსმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

სამხკორი ქურხული.

## უცხოეთის არმიებში

### როგორ იბრძვიან რიფები*)

ღამის სამ საათზე ფრანგების რაზმი უკვე გაემგზავრა ალნიშნული სადარაჯოს გამოსახსნელად. ჩვენი ასეული ამ რაზმის მოწინავე რაზმათ ითვლებოდა. ყველა სდუმდა. თუ ვინმე ლაპარაკობდა, მხოლოდ იმაზე, რომ ვერც ერთი ჩვენგანი უკან ცოცხალი ვერ დაბრუნდებოდა. იმედი ყველას დაკარგული ჰქონდა.

მივიწევდით წინ ნელა. მე მივდიოდი ასეულის უფროსის გვერდით. 20 ნაბიჯით ვიყავით დაცილებული ასეულის ჯარისკაცებისაგან. (ასეული შუაზე იყო გაყოფილი. ნახევარი წინ მიდიოდა და ნახევარი უკან. ჩვენ კი შუაზე ვიმყოფებოდით ორი ნახევრისაგან ოცი ნაბიჯის დაცილებით) ჩვენი სიარული გაგრძელდა ნახევარი საათს.

უეცრივ მარჯვნიდან გაისმა თოფის ხმა, მეორე, მესამე და მცირე ხანგამოშვებით გაჩნდა სროლა.

ისროდა ორი-სამი რიფი რიგრიგობით. ძლიერ ბნელოდა და ვერ გვაყენებდენ ზიანს, მაგრამ ჩვენი რაზმის მოძრაობა გამოაშკარავებული იქნა. ასეთ შეხვედრებს შეჩვეულებმა, ჩვენ განვაგრძეთ წინსვლა, რადგან მტრების ძებნა რომ დაგვეწყო, სულერთია ვერაფერს გავხდებოდით. ამნაირად ჩვენ მივაღწიეთ სადარაჯოს დაუზიანებლად.

გათენებისას გავმაგრდით რა დაკავებულ ხაზზე ჩვენ დავიწყეთ სადარაჯოსაკენ მეორე ასეულის გაშვება, რომელიც უნდა მისულიყო სადარაჯომდე. მან დაკარგა რამოდენიმე დაჭრილი და ბოლოს ჩვენ შევქმენით რაზმისაგან ხეივანი, რომელშიდაც უნდა გაევლო ჩვენს ვირებს სადარ ჯოსათვის დატვირთული საზრდოთი და წყლით. როგორც კი გამოჩდენ საზრდოთი დატვირთული რაზმები მთებიდან, რიფებმა მთელი თავისი ყურადღება იქეთკენ გადაიტანეს და რაღაც 30 წუთის განმავლობაში რაზმის ნახევარზე მეტი თავისი ვირებით სრულიად გაანადგურეს. გაძლიერდა ცხარე სროლა. რიფები ისროდენ მარჯვნიდან და მარცხნიდან. ჩვენ შევუდექით დაჭრილთა და დახოცილთა ევაკუაციას.

უეცრივ სამ კაცს (როგორც ეს შემდეგ შევიტყვეთ) შამოუვლია ჩვენთვის ზურგში და დაუწყეს სროლა ჩვენს შტაბს. პირველად გულგანგმირული დაეცა ჩვენი ოცეულის მესაყვირე და ეს თითქოს ნიშანი იყო: მთელი ჩემი ემწყობრო გუნდი რიფების დაუნდობელი ტყვიით ეცემოდა ძირს ერთი-მეორეზე. ყვირილი, წყევლა, ტირილი. ამასთან ერთად რაზმს დაეცა აგრეთვე ბომბის გასროლიდან გაშვებული ყუმბარა, რამაც გვაიძულა ჩვენ მოგვეძებნა ახალი ადგილი. ამნაირად ჩვენი ადგილმდებარეობა ცნობილი შეიქნა რიფებისათვის და ამის შემდეგ კიდევ უფრო უწყალოდ მოუშვეს ცეცხლი.

ასეული დაბრუნდა ნაწილში, მაგრამ არა ყველა. ნახევარზე მეტი დავკარგეთ და თითქმის ყველა ოფიცრები. რიფები კი არა ალემატებოდენ 50 კაცს.

აი როგორ იბრძოდენ რიფები და ჩვენი იღბალი, რომ მათ არ ჰქონდათ არც ტყვიამფრქვევები, არც ზარბაზნები და არც ხელის ყუმბარები.—ამბობს ის.

*) დასაწყისი იხ. გუშინდელ ნომერში.

## ამბები სოფლებიდან.

რაჭის აღმასკომმა დახ. რაჯაონის საავათმყოფოს შესაკეთებლათ 160 ათასი მანეთი.

ავტომობილებით მიმოსვლის ფასათ ქუთაისიდან ონამდე რაჭის აღმასკომმა დააწესა 13 მან. და 10 კაპ.

სენაკის მაზრის განათლების განყოფილებამ გამოიმუშავა თავისი მუშაობის სამთვიური გეგმა.

წითელ ჯვრის თელავის განყოფილება სოფ. ახალ სოფელში ხსნის საექიმო პუნქტს.

სოფ. გოგაშენში (ახალქალაქის მაზრა) სამაზრო აღმასკომის მეთაურობით გაყავთ წყალსადენი.

კანაფის პლანტაციები. ახალქალაქის აღმასკომმა დაადგინა გააშენოს კანაფის პლანტაცია 50 დესეტინაზე.

გორში გაიხსნა გუშინ მაზრის გლეხკომების გაფართოებული თათბირი, რომელსაც დაესწრო უზრუნველყოფის სახალხო კომისარი.

ახ ამბ

## ახალი ამბები.

— ჯანსახკომმა მიიღო საზღვარგარეთიდან მანქანები და წამლეულობა აფთიაქებისა და საავათმყოფოებისათვის.

— მაზრებში კომუნალურ მშენებლობის საკითხების მოსაგვარებლათ მაისის ბოლოს ტფილისში გაიმართება მაზრების წარმომადგენელთა თათბირი.

— მარტის განმავლობაში ქალაქის სასაკლაოზე დაკლულ იქნა 7.625 სული საქონელი.

— ცეცხლის მქრობელი რაზმების საჭიროებისათვის სახ. ლების დამზღვევ განყოფილებამ მოსკოვში შეიძინა იარ... მანქანები.

— „მთაჩში" (ზაგს) მუშა... იწარმოებს ამიერიდან დილ... საათიდან და აგრეთვე კვირ... ბით.

— მუშ. და გლეხთა ... პექციის და სოც. უზრ. ს... ლხო კომისარიატის წარმო... გენელი უკვე შეუდგენ მაზ... ბში სოც. უზრ. საქმის გამ... ვლევას.

— გლეხკომების გადა... ვის კამპანია დაიწყება მაზ... ში მაისიდან.

## პასუხი შეკითხვებზე

— ლაშელს. უნდა იმსახუროთ ორი წელი. სამსახურის გ... ვების შემდეგ აღდგენილი იქნებით კავშირის წევრად. სამსახ... არ გენახებათ.

— ღელისპირელს. მიიღებთ.

— გაბუნიას. მუშფაკში უნდა გაგაგზავნოს რომელიმე ო... ნიზაციამ.

— ჰანკვეტაძეს. შვებულების შესახებ მიმართედ თქ... უფროსს.

— მართაშვილს. უნდა იმსახუროთ სამი წელი.

— ქიშოშვილს. უფლება არ ქონდათ. მიწის კომისიის უკ... ნო მოქმედება შეგიძლიათ გაასაჩივროთ მაზრაში და მიწათმოქ... ების კომისარიატში.

— ქავთარაძეს. ტანსაცმელი თქვენს საკუთრებას არ შეად...

— სუხიაშვილს. მიმართედ ლეგიონის უფროსს.

— მუშკუდიანს. ხელახლად აღძარით შუამდგომლობა თქ... უფროსის წინაშე.

— ვ. უ. თქვენი შეკითხვის შესახებ ჯერ-ჯერობით არავ... რი ბრძანება არ არის.

— ალავიძეს. თქვენ თუ არ იქენით განთავისუფლებული თქვენს ძმას არ გაიწვევენ.

— ოდისეის. უმცროს მეთაურს არ შეუძლია სამოქალაქო ნისამოსის ტარება.

— ჭიკაძეს. ა. წ. შემოდგომაზე.

— კალანდაძეს. არ გეკუთვნით. (ბრ. №30—26წ.)

— ქორქაძეს· უნდა გქონდეთ გათავებული მეორე საფეხ... სკოლა.

— ჯანჯღავას. მარტო მგზავრობის დროს გეძლევათ.

— ზარნაძეს. არა.

— კორღანიშვილს. სწორად ღებულობთ ჯამაგირს.

— ბ.—ძეს. არ გადაირიცხებით ტერნაწილში (ბრ. №834—25 წ.)

— ქ—ძეს. არ გაგიშვებენ უვადო შვებულებაში (ბრ. №9...—1925 წ.)

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-4 ლეგიონის მე-4 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ გ... დებები კ. პარტიაში მისაღებათ შემდეგ ამხანაგებს: 1) აპალონ... ვლედიანს (ოცმეთაური კ. კავშირის წევრი 1923 წლიდან), 2) გოლ მაჩიტაძეს (ოცმეთაური კ. კ. წევრი 1924 წლიდან), 3) გ... სიმე დარჩიას (ოცმეთაური, უპარტიო), 4) დადუნაშვილი ვარ... (ოცმეთაური, უპარტიო), 5) ივლიანე მახათაძეს (უპ. წ. არმიე... 6)იორამ კაჭარავას (უპ. წ. არმიელი) და 7) კირილე წირქ... (უპ. წითელ არმიელი).

თუ ვინმეს რაიმე ცნობები გაქვთ მათ წინააღმდეგ გთ... შეგვატყობინოთ ერთი კვირის განმავლობაში.

მდ. გარსევანიშვილი.

## განცხადებები


იმ მიზნით, რათა შემნახველი სალაროებით სარგებლობა უფრო მოხერხებული იქნას

ა. კ. სახელმწიფო შრომის შემნახველი
მთავარი სალარო

ა. წ. 15 აპრილიდან აწარმოებს ოპერაციებს საღამოობით და კვირა დღეებში, რუსთაველის პრ. №19.

ამიერკავკასიის სახელმწიფო შრომის მთავარი სალარო ღია იქნება:

სამუშაო დღეებში: დილის 9—3 საათამდი
საღამოს—6—8 საათამდი.

კვირაობით: დილის 10—12 საათამდი.

დავკარგე პარტ საკანდიდატო მანდატი გაცემული 1-ლ ქართულ მსროლელ... გიონის ბიურო კოლექტივიდან კაპიტონ ივანესძე ყალიჩავას... ლზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.


ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.